



### აღწერა

სილიკონის დეკორატიული, მქრქალი, ფასადის წყალგამძლე საღებავი აკრილის ემულსიის ფუძეზე.

### გამოყენების სფერო

- გამოყენება ფასადებზე ნებისმიერ მინერალურ ზედაპირზე, შავ ბათქაშზე, ბეტონის ზედაპირზე, ასევე ადრე შეღებულ ზედაპირებზე.

### თავისებურებები

- სილიკონის შემცველობის გამო, იცავს ფასადს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისგან.
- მაღალი ორთქლგამტარობის გამო, არ უშლის ხელს კედლების „სუნთქვას“.
- ატმოსფერული ნალექები და ტემპერატურული ცვლილებები გავლენას არ ახდენენ დაფარვის ხარისხზე.
- გააჩნია მაღალი გაუმჭვირობა.
- უძლებს ტუტეს.
- არ შეიცავს გამხსნელს, იხსნება წყლით და ამიტომ არა აქვს სუნი და უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობის და გარემოსთვის.

### გამოყენების ინსტრუქცია

- დასამუშავებელი ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ისეთი ადჰეზიის ხელისშემშლელი ფაქტორებისგან, როგორცაა მტვერი, ჭუჭყი ან ცხიმი, ასევე ძველი ან გაჯირჯეული საღებავის ფენებისგან, და იყოს სუფთა და მკვრივი. ახალ მინერალურ ზედაპირებზე გამოყენებამდე საჭიროა დაელოდოთ 28 დღე, ზედაპირის სრულ გამკვრივებამდე. საჭიროა თავიდანვე მიიღოთ ყველა ზომა შენობის ჰიდროიზოლაციისთვის.
- ადრე შეღებული ზედაპირი გაწმინდეთ ზუმფარის ქაღალდით და მოაცილოთ წარმოქმნილი მტვერი.
- საჭიროების შემთხვევაში შეავსეთ ბზარები და გაასწოროთ ზედაპირი აკრილის სქელი საგოზავით KALIN AKRILIK MAKUN ან Kalekim TAMIRART ან MACUNART.
- ზედაპირი ძველი საღებავის ნარჩენებით ან ახალი მინერალური ზედაპირი დაამუშავეთ UNIASTAR ან SILASTAR საშუალებებით, ძალიან აბსორბირებადი ან სუსტი მინერალური ზედაპირი დაამუშავეთ აკრილის საგრუნტავით AKRILIK ASTAR.
- გამოყენებამდე კარგად არიეთ JOKER PLUS EXT.
- JOKER PLUS EXT გახსენით მაქსიმუმ 10% სუფთა წყალში და დაატანეთ ზედაპირს ორ ფენად ფუნჯით, ლილვავით ან საფრქვევლით.
- ფენების დატანას შორის უნდა გავიდეს მინიმუმ 6 საათი.
- გამოყენებისთანავე გარეცხეთ ხელსაწყოები წყლით.
- ღებვის დროს და შემდეგი 24 საათის განმავლობაში რეკომენდირებულია რომ ოთახის და შეღებული ზედაპირის ტემპერატურა არ იყოს 5°C-ზე ნაკლები.
- არ არის რეკომენდირებული საღებავის გამოყენება ძალიან ცხელ ამინდში, მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის დროს, ძალიან ტენიან ან წვიმიან ამინდში. ძალიან ცხელი ზედაპირები უნდა დატენიანდეს წყლით გამოყენებამდე.
- არ არის რეკომენდირებული მასალის გამოყენება ჰორიზონტალურ ზედაპირებზე.

### გაფრთხილებები

- გაუხსნელ შეფუთვაში შეინახეთ ტემპერატურაზე 5°C-35°C

### შეფუთვა

- 2,5 ლ, 7,5 ლ და 15 ლ პლასტმასის სათლები
- 2,5 ლ სათლები შეფუთულია ფირით ორ-ორად



ხარისხის სერტიფიკატები

TS 7847



5122 Joker Plus EXT

info@kalekim.com

### ტექნიკური მახასიათებლები

(23°C და 50% ფარდ. ტენიანობის პირობებში)

### ზოგადი მონაცემები

ფერი	თეთრი და საბაზო A, B და C
ფუძე	აკრილის ემულსია
გამხსნელი	წყალი
სიმკვრივე	1.62 გრ/სმ <sup>3</sup>

### ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C) - (+35°C)
გაშრობის დრო	მეორე ფენამდე: 6 საათი სრული გაშრობა: 24 საათი მომატებული ტენიანობისა და დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში დრო შეიძლება გაიზარდოს.
ხარჯი	0.120-0.130 ლ/მ <sup>2</sup> (განსხვავდება ზედაპირის აბსორბციული თვისებების მიხედვით)
საჭირო ხელსაწყოები	ფუნჯი, ლილვაკი, საფრეველი

### ინფორმაცია სამუშაო მახასიათებლების შესახებ

EN 1062-1	კლასი
ბზინვა	G3
მშრალი აკვის სისქე	E3
ნაწილაკების ზომა	S1
ორთელგამტარობა	V1
წყალგამტარობა	W2
ბზარების დაფარვა	A0
ნახშირორჟანგის გამტარობა	C0

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.